

დამტკიცებულია:

„აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის“

გამგეობის 2016 წლის 10 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით

ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ

მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“

განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტის დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1. განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტი (შემდგომში, კომიტეტი) წარმოადგენს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის (შემდგომში საბფმფ) მუდმივმოქმედ ორგანოს;

1.2. კომიტეტი შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის, აგრეთვე საბფმფ-ის წესდების მოთხოვნებიდან გამომდინარე;

1.3. წინამდებარე დებულება არეგულირებს „განათლებისა და სერთიფიცირების კომიტეტის სტრუქტურული მოწყობის და ფუნქციონირების საკითხებს;

1.4. კომიტეტი თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით, საბფმფ-ის წესდებით, საბფმფ-ის წევრთა საერთო კრებისა და საბფმფ-ის გამგეობის გადაწყვეტილებით; ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის დებულებებითა და ნორმატივებით (სტანდარტებით);

1.5. „კომიტეტის“ დებულებას ამტკიცებს „საბფმფ“ - ის გამგეობა.

2. კომიტეტის მიზნები და ამოცანები

2.1. კომიტეტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა მაღალპროფესიული კადრების მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას;

2.1.1. მონაწილეობა მიიღოს საბფმფ-ის მიერ ორგანიზებული სასერტიფიკაციო პროცესთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებასა და მის რეალიზაციაში.

2.2. კომიტეტის ამოცანებია:

2.2.1 საბფმფ-ის წევრებისა და სხვა პირების კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების უზრუნველყოფა;

2.2.2 კომიტეტის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

➤ აუდიტორების, სერტიფიცირებული ბუღალტრების, ბუღალტრებისა და ფინანსური მენეჯერების კვალიფიკაციის ამაღლება;

➤ აუდიტორების, სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი სწავლების ორგანიზება და წარმართვა;

➤ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების, სერტიფიცირების საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილების შესწავლა და განზოგადება;

➤ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და სერტიფიცირების მიზნით სპეციალური კურსების მომზადება და სრულყოფა;

➤ სხვა სახის სწავლების ორგანიზება (ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური მენეჯმენტის, საგადასახადო კონსულტაციების და სხვა მსგავსი მომსახურების სფეროში კადრების მომზადება და გადამზადება);

➤ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და სერტიფიცირების მიზნით საჭირო სასწავლო და დამხმარე მასალების მომზადება;

➤ ტრენერთა კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;

➤ სერტიფიცირებული ბუღალტრებისთვის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების მოძიება და დანერგვა;

➤ საბფმფ-ის წევრებს (აუდიტორები და აუდიტური ფირმების თანამშრომლები) შორის საწარმოთა კატეგორიების მიხედვით ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების სწავლების ორგანიზება;

➤ დისკუსიების, სემინარების, განხილვების ორგანიზება ფინანსების, აუდიტის, სამეწარმეო და სხვა სამეურნეო საქმიანობის სფეროების საკანონმდებლო ინიციატივების სრულყოფის მიზნით.

კომიტეტი ანგარიშვალდებულია საბფმფ-ის გამგეობის წინაშე.

3. კომიტეტის შემადგენლობა და მუშაობის წესი

3.1. კომიტეტის შემადგენლობა ფორმირდება საბჭმფ-ის წევრებისაგან. კომიტეტის წევრად შეიძლება მოწვეული და არჩეული იქნას საბჭმფ-ის არაწევრი პირები, მაგრამ არაუმეტეს „კომიტეტის“ შემადგენლობის 1/5-ისა;

3.2. კომიტეტის რაოდენობრივ და პროფესიულ შემადგენლობებს ამტკიცებს საბჭმფ-ის გამგეობა კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით;

3.3. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან წევრები, რომლებიც ცნობილნი არიან პროფესიულ სფეროში, ან/და ეწევიან პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას.

3.4. კომიტეტი აირჩევა სამი წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდგომ კომიტეტი აგრძელებს თავისი ფუნქციების შესრულებას ახალი შემადგენლობის არჩევამდე. კომიტეტის ყოველი წევრი შეიძლება არჩეული იქნას ახალი ვადით, ახალი ვადით არჩევა შეზღუდული არ არის;

3.5. კომიტეტის ყოველ წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება;

3.6. თავისი საქმიანობის წარმატებით განხორციელების მიზნით კომიტეტი უფლებამოსილია კომიტეტის სხდომაზე მოიწვიოს საბჭმფ-ის წევრი და არაწევრი სპეციალისტები სათანაობრო ხმის უფლებით;

3.7. კომიტეტის თავმჯდომარეს ამტკიცებს საბჭმფ-ის გამგეობა;

3.8. თავმჯდომარე უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, საბჭმფ-ის გამგეობის წინაშე დააყენოს კომიტეტის შემადგენლობიდან წევრების გაყვანის საკითხი;

3.9. კომიტეტის სხდომა იმართება არანაკლებ სამ თვეში ერთხელ;

3.10. კომიტეტის სხდომებს ატარებს მისი თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში და თუ თავმჯდომარეს არავითარი მითითება არ ექნება მიცემული, კომიტეტის დამსწრე წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს;

3.11. კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომიტეტის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სხდომის მონაწილე წევრთა უბრალო უმრავლესობა;

3.12. კომიტეტის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საბჭმფ-ის გამგეობისა და საერთო კრების წინაშე.

3.13. კომიტეტი იხილავს სასერტიფიკაციო სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ საკითხებს, ამზადებს სამოქმედო პროექტებს და წარუდგენს საბფმფ-ის გამგეობას დასამტკიცებლად.

3.14. კომიტეტს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა საბფმფ-ის გამგეობის მიერ განათლებისა და სერტიფიცირების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, აგრეთვე სასწავლო პროგრამების (სილაბუსების) შემუშავებაზე, განახლებასა და გადასინჯვაზე.

3.15. კომიტეტი პასუხისმგებელია განათლებისა და სერტიფიცირების სტრატეგიული პოლიტიკის წარმართვაზე. კომიტეტის მთავარი ფუნქციაა ფედერაციის წევრებისთვის განათლებისა და პროფესიული კომპეტენციის მისაღწევად აუცილებელი პოლიტიკის შემუშავება, მხარდაჭერა, დანერგვა და შესრულებაზე კონტროლი.

3.16. კომიტეტი ვალდებულია:

- უზრუნველყოს სწავლების პროცესის ჩატარება, ხარისხის შენარჩუნება და განმტკიცება;
- გააანალიზოს სწავლების საკითხების მომზადების პროცესის ეფექტურობა და დროულობა;
- განიხილოს სწავლების პროცესთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორის, სერტიფიცირების პროცესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, სპეციალური საჭიროებები, სირთულეები, ავადმყოფობის გამო გაცდენის შემთხვევები და შედეგებიდან გამომდინარე, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგინოს საბფმფ-ის გამგეობას.

3.17. სასერტიფიკაციო და განგრძობითი სწავლების პროცესებში ჩართვასა და მათზე ხელშეწყობის ორგანიზების მიზნით კომიტეტში იქმნება საგამოცდო კომისია, სააპელაციო კომისია და სამეთვალყურეო საბჭო.

4. საგამოცდო კომისია იქმნება კანდიდატების ან სერტიფიცირებული ბუღალტრის სერტიფიკატის სტატუსის მაძიებელი პირებისთვის სასწავლო პროცესის მომზადებისა და გამოცდაზე დაშვების უზრუნველსაყოფად. იგი შედგება 3 წლის ვადით არჩეული 3

წევრისაგან. მისი ყველა წევრი სავალდებულოა იყოს არანაკლებ 5-წლიანი სამუშაო სტაჟისა და უმწიკვლო საქმიანი რეპუტაციის მქონე სერტიფიცირებული ბუღალტერი (აუდიტორი). კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება კანდიდატთა სწავლების პროცესში ჩართული პირების არჩევა.

საგამოცდო კომისიის უშუალო მოვალეობაა სასერტიფიკაციო პროცესის სასწავლო კომპონენტის მომზადება და ჩატარება, კანდიდატების რეგისტრაცია, სწავლების პროცესის ორგანიზება, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ კანდიდატების ან სერტიფიცირებული ბუღალტრის სერტიფიკატის სტატუსის მაძიებელი საბფმფ-ის წევრის მივლინება (გაგზავნაზე) ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული ბუღალტერთა და აუდიტორთა საგამოცდო ცენტრში გამოცდის ჩასაბარებლად.

საგამოცდო კომისია ანგარიშვალდებულია კომიტეტისა და საბფმფ-ის გამგეობის წინაშე.

5.სააპელაციო კომისია იქმნება კანდიდატების ან სერტიფიცირებული ბუღალტრის სერტიფიკატის სტატუსის მაძიებელი პირების პრეტენზიებზე სამართლიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად. იგი შედგება 3 წლის ვადით არჩეული 3 წევრისაგან. მისი ყველა წევრი სავალდებულოა იყოს არანაკლებ 5-წლიანი სამუშაო სტაჟისა და უმწიკვლო საქმიანი რეპუტაციის მქონე სერტიფიცირებული ბუღალტერი (აუდიტორი). კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს საბფმფ-ის გამგეობის ერთი ან მეტი წარმომადგენელი და საბფმფ-ის წევრი აკადემიური წრის წარმომადგენელი. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება კანდიდატთა სწავლების პროცესში ჩართული პირების არჩევა.

სააპელაციო კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა აპელაციის პროცესზე, თუკი აპელაციის საჭიროება შეიქმნება სასწავლო პროცესის ან გამოცდების შედეგების გაცემის შემდეგ.

კომისია იხილავს და კომიტეტს წარუდგენს მოსაზრებებს აპელაციასთან დაკავშირებული საკითხების დასარეგულირებლად.

6.სამეთვალყურეო საბჭო იქმნება ფედერაციაში სასერტიფიკაციო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით. იგი შედგება არაუმეტეს 3 წლის ვადით არჩეული 3 წევრისაგან. მის შემადგენლობაში შედის **საბფმფ**-ის თავმჯდომარე და მოწვეული ბიზნეს-წრეების ან სახელმწიფო ორგანოების ორი წარმომადგენელი.

6.1. სამეთვალყურეო საბჭო:

- შეიმუშავებს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის წესს;
- ახორციელებს საგამოცდო ცენტრში გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგს.

6.2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, უფლება აქვთ გაეცნონ სასერტიფიკაციო პროცესის მიმდინარეობას, უზრუნველყონ მისი საუკეთესო პრაქტიკასთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა ისე, რომ არ დაირღვეს დადგენილი წესები და კონფიდენციალურობა.